



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### დიზის მარმარილოს საბადო

დიზის მარმარილოს საბადო, მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიზთან.

მარმარილოს ლინზები განლაგებულია პალეოზოურ-ტრიასული ასაკის დიზის წყებაში. სულ გამოვლენილია 6 ლინზა, მათი საშ. სიგრძე 150-200 მ, სისქე 25-30 მ. შემცველ ქანებთან კონტაქტურ ნაწილში მარმარილო ნაცრისფერია და ზოლიანი, ბუდობის ცენტრ. ნაწილში – ნაცრისფერი, მასიური. სიმკვრივე – 2600- 2800 კგ /მ<sup>3</sup>, ფორიანობა – 0-3%, სიმტკიცე კუმშვისას – 48-98 მეგპა. ბლოკების გამოსავალი სამთო მასიდან – 20,3%, ფილების გამოსავალი 1 მ<sup>3</sup> ბლოკიდან – 12-14 მ<sup>2</sup>.

მუშავდება ღია წესით. გამოიყენება შენობების შესამოსად და ინტერიერებისათვის (მაგ. დიზის მარმარილოთი არის მოპირკეთებული რკინიგზელთა კულტურის სახლის სვეტები თბილისში).

**ვ. ჯავრიშვილი**

---